საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 60

2016 წლის 02 აგვისტო

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის № 36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების" მე-5 და მე-6 მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 17 ივნისის №01-08/25 ბრძანების, საკონკურსო კომისიების ოქმების და საკონკურსო მასალების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 17 ივნისის №01-08/25 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი და ბსუ-ში 2016 წლის აგვისტო-დეკემბერში განსახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

   ა)ფუნდამენტური კვლევის მიმართულებით - ,,ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში - I"**(დანართი N1);**

   ბ) გამოყენებითი კვლევის მიმართულებით - ,,აჭარის აბორიგენული და ინტროდუცირებული მცენარეების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა“**(დანართი N2).**

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების" და ამ დადგენილებით დამტკიცებული გამარჯვებული პროექტების განხორციელების მიზნით, ბსუ-ს ბიუჯეტისა და გამარჯვებული პროექტების (აღწერილობა, კალენდარული გეგმა, ბიუჯეტი, პერსონალის თანხმობები) შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა/შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

3. დაევალოს გამარჯვებული პროექტების მენეჯერებს (პროფესორ მალხაზ ჩოხარაძეს და პროფესორ ალეკო კალანდიას) წარუდგინონ ბსუ-ს რექტორს პროექტის პერსონალის (თითოეულის ცალ-ცალკე) სამუშაო აღწერილობები და გაწეული შრომის ანაზღაურების ოდენობა, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.
4. დაევალოს გამარჯვებული პროექტის მენეჯერებს პროექტის განხორციელების დაწყებიდან ნახევარი ეტაპის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 10 ოქტომბრისა წარუდგინონ:
   ა) პროგრამული ანგარიში - აკადემიურ საბჭოს;
   ბ) ფინანსური ანგარიში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
5. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს. (პროექტის მენეჯერებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს)
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, ასოც. პროფესორი **შერაბ ხალვაში**